

ეროვნული პათოსიდან ბელადის კულტამდე: ილო მოსაშვილის სახლ-მუზეუმის მაგალითი

აბსტრაქტი

ნაშრომის სათაურიდან ჩანს, რომ კვლევის მთავარი ინტერესი ილო მოსაშვილის შემოქმედებაში ორი ძირითადი ელემენტის - ნამდვილი ეროვნული/პატრიოტული თვითშეგნებისა და ბელადის/საბჭოთა იდეოლოგიისადმი ლოიალობის დაპირისპირებაა. ეს იდეა დასტურდება როგორც ილო მოსაშვილის პოლიტიკური ტრანსფორმაციით, ასევე კონკრეტული ლექსების, სახალხო საქმიანობისა და სახლ-მუზეუმში დაცული მასალების ანალიზით.

საკვლევი თემა მოიცავს ბიოგრაფიულ ანალიზს, კერძოდ, ილო მოსაშვილის პოლიტიკურ გზას - რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტიიდან საბჭოთა საქართველოში მოღვაწეობამდე. ამასთან, თემის მნიშვნელოვანი ნაწილია სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაქირში არსებული ილო მოსაშვილის სახლ-მუზეუმი და მუზეუმში დაცული ტექსტები, ფოტომასალები და ნივთები, რომლებიც მისი ეროვნული დუალიზმის ჩამოყალიბებას ასახავენ. ილო მოსაშვილის შემოქმედება დატვირთულია პატრიოტული ელემენტებით, თუმცა პოლიტიკური და იდეოლოგიური პირობების გამო, იგი ხშირად ცდილობს ეროვნული მოტივების გადმოცემას პარტიულ-საბჭოთა პათოსის გამოყენებით. ნაშრომში წარმოდგენილია ილო მოსაშვილის შემდეგი ლექსები: „მიყვარს“ (1919 წ.), „შვილო, სამშობლო გეძახის“ (1941 წ.) და „დედა-სამშობლო“ (1942 წ.), რომლებიც ეროვნული საკითხის დუალიზმს ნათლად წარმოაჩენენ.

ნაშრომის აქტუალობა განპირობებულია ეროვნული საკითხის დუალიზმით, რომელიც ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ქართველებს ახასიათებდათ. კერძოდ, გაორებულ ქარ-

* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, მკვლევარი.

თველებს უყვარდათ საქართველო, თუმცა მათთვის საქართველო რაღაც უფრო დიდის ნაწილი იყო - მაგალითად, რუსეთის (მაცაბერიძე, 2023). ფაქტია, რომ გაორებული ქართველების ტიპი XX საუკუნეშიც არსებობდა, განსაკუთრებით კი საბჭოთა საქართველოს პირობებში. აღნიშნული აზრის ნათელი დადასტურებაა ილო მოსაშვილის შემოქმედება და მისი პოლიტიკური მოღვაწეობა. ილო მოსაშვილის ლექსებისა და ბიოგრაფიის (განსაკუთრებით 1917-1954 წლებში) გაანალიზებით, ეს კვლევა ავლენს ეროვნული იდენტობის შენარჩუნებისა და საბჭოთა ლოიალობის პარადოქსულ თანაცხოვრებას, რაც მნიშვნელოვანი ისტორიული მოდელია საბჭოთა საქართველოს ინტელიგენციის სოციალურ-პოლიტიკური ქცევის შესასწავლად. ნაშრომი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ილო მოსაშვილის სახლ-მუზეუმს - არა მხოლოდ როგორც მემორიალურ სივრცეს, არამედ როგორც საკვლევ წყაროს - მუზეუმში წარმოდგენილი ფოტოები, ტექსტები და ექსპონატები ილო მოსაშვილის ეროვნული საკითხის დუალიზმის შესასწავლად საკმაოდ საინტერესო და დროულია. აქედან გამომდინარე, ნაშრომი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ყველა იმ მკვლევარს (პოლიტიკის მეცნიერების გარდა, დაინტერესებული პირები შეიძლება იყვნენ ისტორიკოსები, ლიტერატურათმცოდნეები, ხელოვნებათმცოდნეები და სხვები), რომლებიც ილო მოსაშვილის მოღვაწეობით არიან დაინტერესებულნი. აღსანიშნავია ისიც, რომ ნაშრომის შედეგები მნიშვნელოვანია როგორც საქართველოს მუზეუმების, ისე მემკვიდრეობის ინტერპრეტაციისთვის. კერძოდ, საინტერესოა, რამდენად სიღრმისეულად და სრულყოფილად წარმოაჩენენ მუზეუმები ბიოგრაფიულ ცნობებს და რამდენად შეაქვეთ მათ წვლილი საქართველოს საგანმანათლებლო სივრცის განვითარებაში. კვლევა აყალიბებს მეთოდოლოგიურ მოდელს, რომლის მიხედვითაც მატერიალური კულტურა (სახლ-მუზეუმი) ტექსტური ანალიზის ინსტრუმენტად გამოიყენება. შედეგად, ნაშრომი ლიტერატურული, პოლი-

ტიკური და ისტორიული კვლევებისთვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

კვლევის საიხლე მდგომარეობს მიკრო-ისტორიაში (ილო მოსაშვილის ბიოგრაფიაში), რომელიც აუცილებელია უფრო დიდი კონტექსტის გასაანალიზებლად. მაგალითად, ილო მოსაშვილის, როგორც ერთი ინდივიდის, პოლიტიკური, ბიოგრაფიული და ლიტერატურული მოღვაწეობა ნაშრომში გადმოცემულია იმისათვის, რათა დამაჯერებლად წარმოაჩინოს საბჭოთა საქართველოს ინტელიგენციის ქცევითი პარადოქსი - ეროვნული თვითმყოფადობის შეჭიდება ბელადის კულტთან. გარდა ამისა, მსგავსი ეროვნული საკითხის დუალიზმი დამახასიათებელია არა მხოლოდ XIX-XX საუკუნის ქართველებისთვის, არამედ თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური სივრცისთვისაც. როგორც ჩანს, წარსულის ტრავმები დღევანდელობაშიც იჩენს თავს. ილო მოსაშვილის სახლ-მუზეუმში დაცული ფოტოები, ტექსტები და ექსპონატები კვლევაში გამოყენებულია როგორც პირველწყაროები და არა მხოლოდ მემორიალური ფონი. კვლევაში მუზეუმი წარმოდგენილია კვლევით ლაბორატორიად, სადაც „დუალიზმი“ როგორც პირად ნივთებში, ისე ტექსტებში ამოიცნობა. ამგვარი ინტეგრაცია ქართულ ჰუმანიტარულ კვლევებში იშვიათად გამოიყენება. კვლევა მემორიალური სივრცის წარმომადგენლებს სთავაზობს ერთგვარ მიმართულებას, თუ როგორ წარმოაჩინონ ბიოგრაფიული დამაბულობები, რითაც მუზეუმში კრიტიკული განათლების სივრცედ იქცევა, სადაც სიმართლე ნათლად, შეფარვის გარეშე ჩანს და იხსნება. ბოლოს, ნაცვლად ბიოგრაფიული ცნობების უბრალოდ წაკითხვისა, ნაშრომი ამხელს მასში არსებულ დისონანსს (ეროვნული პათოსი + ბელადის თაყვანისცემა) და აჩვენებს, რომ ეროვნული განცდის გადმოცემა ხშირად მოჩვენებითი ლოიალობის საფარქვეშ ხდებოდა. აღნიშნული მიგნება მნიშვნელოვანი შენატანია მეხსიერების პოლიტიკისთვის, ლიტერატურისა და ისტორიისთვის.

კვლევის მიზანია, ილო მოსაშვილის სახლ-მუზეუმის, ბიოგრაფიისა და შემოქმედების მაგალითზე გაანალიზდეს ეროვნული იდენტობისა და ბელადის კულტის/საბჭოთა ლოიალობის პარადოქსული თანაარსებობა, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ იჩენს თავს მის პოეტურ ტექსტებში, პოლიტიკურ საქმიანობასა და სახლ-მუზეუმის მემორიალურ მასალებში. კვლევა ცდილობს აჩვენოს, თუ როგორ ხდება ეროვნული პათოსის გამოხატვა საბჭოთა იდეოლოგიის ჩარჩოებში და რატომ არის ილო მოსაშვილის სახლ-მუზეუმი მნიშვნელოვანი „მეხსიერების ადგილი“ (პიერ ნორას თეორიული ჩარჩოს მიხედვით), სადაც ისტორია და მეხსიერება ერთმანეთთან იკვეთება.

წარმოდგენილი ნაშრომის **მეთოდოლოგია** ეფუძნება თვისებრივი კვლევის მეთოდებს, შემთხვევის შესწავლასა და დისკურს-ანალიზს. შემთხვევის ანალიზის მაგალითად აღებულია ილო მოსაშვილი და მისი სახლ-მუზეუმი (ვაქირი, სიღნაღი), რათა აიხსნას ეროვნული პათოსისა და ბელადისადმი ლოიალობის თანაარსებობა ტექსტებსა და ბიოგრაფიულ მასალაში. შემთხვევის ანალიზის არჩევა განპირობებულია თავად ნაშრომის მიზნით - მოსაშვილის ტექსტებსა და მუზეუმში დაცულ მასალებში ეროვნული საკითხის დუალიზმის არსებობა ცხადად იკვეთება, ხოლო კვლევის საგანი სწორედ ამ დაპირისპირების წარმოჩენაა. შესაბამისად, საკვლევი კითხვებია: 1. როგორ კონსტრუირდება ეროვნული საკითხი და ბელადისადმი/საბჭოთა იდეოლოგიისადმი ლოიალობა ილო მოსაშვილის ტექსტებსა და ბიოგრაფიაში? 2. როგორ გაანაწილა ან დააბალანსა ავტორმა ეს ორი დისკურსი სხვადასხვა პერიოდებში? 3. როგორ წარმოაჩენს ამ დუალიზმს ილო მოსაშვილის სახლ-მუზეუმში დაცული ექსპოზიციები? კვლევის დროითი დიაპაზონი მიზანმიმართულად მოიცავს 1917-1954 წლებს (პოეტური ტექსტების ადრეული ეროვნული ინტონაციიდან სამხედრო წლებისა და შემდგომი საბჭოთა ეპიზოდების ჩათვლით). მონაცემთა წყაროების თვალსაზ-

რისით, ნაშრომში პირველ-წყაროებად გამოყენებულია ილო მოსაშვილის ლექსები (1919, 1941, 1942), სახლ-მუზეუმის ფოტომასალა და ექსპონატები. მეორეული წყაროების გათვალისწინებით, ნაშრომში გადმოცემულია ისტორიოგრაფიული და ბიოგრაფიული ცნობები. ილო მოსაშვილის სახლ-მუზეუმში ტექსტებისა და ექსპონატების შერჩევა განხორციელდა მიზნობრივი შერჩევის პრინციპით: არჩეულია მასალები, სადაც პირდაპირ ან ირიბად ფიქსირდება ეროვნული ნიშნები (სამშობლო, მიწა, წინაპრები, მსხვერპლი) და ბელადისადმი ლოიალობის მარკერები (სტალინი, პარტიული პათოსი, საბჭოთა სიმბოლიკა). ნაშრომი ითვალისწინებს ეთიკური ნორმების დაცვას: ილო მოსაშვილის სახლ-მუზეუმის მონაცემებზე წვდომა განხორციელდა ნებართვით, ფოტო-მასალისა და ექსპონატების მოძიება - ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე, ხოლო მუზეუმის პერსონალის ანონიმურობა მკაცრადაა დაცული.

აღნიშნული ნაშრომის შესაბამისი **თეორიული ჩარჩო** ფრანგი ისტორიკოსის, პიერ ნორას „მეხსიერების ადგილებია“. ნორას აღწერით, მეხსიერების ადგილებს შეიძლება ჰქონდეთ მატერიალური (მონუმენტები, მუზეუმები, არქივები), სიმბოლური (ეროვნული დღესასწაულები, ემბლემები, მითები) ან ფუნქციური ფორმა (ინსტიტუტები) და ხშირად ისინი აერთიანებენ როგორც ისტორიას, ისე მეხსიერებას. პიერ ნორა ხაზს უსვამს იმას, რომ ეს ადგილები ნეიტრალურნი არ არიან, საპირისპიროდ, ისინი კონსტრუირებულნი არიან და ხშირად პოლიტიკურ ან იდეოლოგიურ მიზნებს ემსახურებიან. აღნიშნული თეორიული ჩარჩო განსაკუთრებით აქტუალურია იმ კონტექსტებში, სადაც ისტორია და პოლიტიკა იკვეთება, რადგან ეს ადგილები არა მხოლოდ ინახავს, არამედ ქმნის და ახლებურად განმარტავს მეხსიერებას (ზოგჯერ მანიპულირების გზით). მაგალითად, ილო მოსაშვილის სახელობის სახლ-მუზეუმი სწორედ ის ადგილია, სადაც მეხსიერება ინახება და გარდაიქმნება. ნორა ამ-

ტკიცებს, რომ მეხსიერების ადგილები ჩნდება მაშინ, როდესაც ცოცხალი მეხსიერება ქრება და ისტორია იდენტობის ინსტიტუციონალიზაციას სიმბოლოების, მონუმენტებისა და ტექსტების მეშვეობით იწყებს (Nora, 1989). ილო მოსაშვილის შემთხვევაში, მისი პატრიოტული პოეზია და პოლიტიკური აქტივობა თავდაპირველად ავთენტურ ეროვნულ სულისკვეთებასა და კოლექტიურ მეხსიერებას ასახავდა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის იდეასთან იყო დაკავშირებული, თუმცა საბჭოთა მმართველობის პირობებში ეს კულტურული გამოხატულებები ბელადის კულტის თავყვანისცემაში გადაიზარდა. შესაბამისად, პიერ ნორას თეორია შემდეგის გარკვევაში გვეხმარება - როგორ ასახავს მოსაშვილის მემკვიდრეობა მეხსიერების ორმაგ პროცესს: ერთი მხრივ, ქართული ეროვნული იდენტობის შენარჩუნებას, ხოლო მეორე მხრივ, მის მანიპულირებას საბჭოთა რეჟიმის მიერ. მოკლედ, პიერ ნორას „მეხსიერების ადგილები“ საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ, როგორ იყენებენ ერები და რეჟიმები კულტურულ არტეფაქტებს, სივრცეებსა და ნარატივებს კოლექტიური მეხსიერების შესანარჩუნებლად - ავთენტური თუ დამახინჯებული ფორმით.

ილო მოსაშვილის სახლ-მუზეუმის, მისი პოლიტიკური და შემოქმედებითი საქმიანობის ანალიზის შედეგად დადგენილი ფაქტების საფუძველზე, შეგვიძლია პირდაპირი პარალელი გავავლოთ ეროვნულ-ქართულისა და რუსული სახელმწიფოებრივი ინტერესების შეთავსების მცდელობასთან XIX საუკუნის საქართველოში, რომელიც რუსეთის იმპერიის მიერ იყო ოკუპირებული. აუცილებელია გავიხსენოთ არჩილ ჯორჯაძის სიტყვები: *„თავადაზნაურული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა საქართველოს დამოუკიდებლობაზე ფიქრი და ოცნება გარემოების მიხედვით უკუაგდეს. პოლიტიკური აზროვნების ასეთი დუალიზმი შეუთავსებელი პრინციპების შეთავსებას გულისხმობდა, მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნის ბოლოს უკვე ნათელი იყო - ოფიციალური და*

გაბატონებული სახელმწიფოებრივი აზრი ეროვნული საკითხის სამართლიანად გადაწყვეტას არ შეიწყნარებდა“. გარდა ამისა, უცხო ქვეყნიდან მომდინარე კულტურულ გავლენას, მაგალითად, რუსი-ფიკაციას, მოსდევდა ქართველთა ნაწილის თავისებური გაორება. გაორებულ ქართველებს უყვარდათ საქართველო, მაგრამ მათთვის საქართველო რაღაც უფრო დიდის ნაწილი იყო - მაგალითად, რუსეთის (მაცაბერიძე, 2023). ზემოხსენებული პარალელის შემდეგ არ იქნება გაზვიადებული იმის მტკიცება, რომ ილო მოსაშვილიც მსგავსი ეროვნული დუალიზმის პრინციპის მიხედვით მოქმედებდა. დაუშვებელია უგულვებელყოფით ის ფაქტი, რომ ილო მოსაშვილის ლექსები პატრიოტული სულისკვეთებისაა, თუმცა მისი გადმოცემა სწორედ იმ ფორმით ხდება, რომელიც საბჭოთა პარტიულ ხაზს შეესაბამება. როგორც ჩანს, სამშობლოსადმი სიყვარულის ლირიკული ხაზების პარალელურად ბელადის სახელის ხსენება იდეოლოგიური აუცილებლობის შედეგია, რაც საბჭოთა სისტემის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანია. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ილო მოსაშვილის შემოქმედების ცვლილება პოლიტიკური ტრანსფორმაციის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს. აუცილებელია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ მსგავსი დუალიზმი დამახასიათებელია არა მხოლოდ ილო მოსაშვილისთვის, არამედ ზოგადად საბჭოთა საქართველოს ინტელიგენციის ნაწილისთვის, სადაც ეროვნული იდენტობის შენარჩუნება ხშირად მხოლოდ ბელადის თაყვანისცემის შედეგადაა შესაძლებელი.

საკვანძო სიტყვები: ილო მოსაშვილი, ეროვნული იდენტობა, ბელადის კულტი, სახლ-მუზეუმი, პიერ ნორა, მეხსიერების პოლიტიკა.

გამოყენებული ლიტერატურა

Nora, P. (1989). *Between memory and history: Les lieux de memoire*. Representations, 26: 7-24. <https://doi.org/10.2307/2928520>

ილო მოსაშვილის სახლ-მუზეუმი. (2025). ვაქირი, სიღნაღი.

მაცაბერიძე, მ. (2023). *ქართული პოლიტიკური აზროვნების დამახასიათებელი ნიშნები: წარსულის გამოცდილება*. გვ. 19. თბილისი.

ნაცარაშვილი, ო. (2001). *კახეთის გამოჩენილი ადამიანები*. თბილისი.

ჯანელიძე, ო. (2002). *ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან*. თბილისი.

Vladimer Grdzelishvili

From National Pathos to the Cult of the Leader: The Example of Ilo Mosashvili's House-Museum

Abstract

The title of the paper indicates that the main focus of the research is the confrontation between two fundamental elements in Ilo Mosashvili's work: genuine national/patriotic self-consciousness and loyalty to the leader/Soviet ideology. This idea is confirmed both by Ilo Mosashvili's political transformation and by the analysis of specific poems, public activities, and materials preserved in his house-museum.

The research topic includes a biographical analysis, specifically Ilo Mosashvili's political path - from the Radical-Democratic Peasants Party of Georgia to his activities in Soviet Georgia. An important part of the topic is also the Ilo Mosashvili's House-Museum in the village of Vaqiri, Signagi Municipality, and the texts, photographs, and objects preserved in the museum, which reflect the formation of his national dualism. Ilo Mosashvili's work is rich in patriotic elements; however, due to political and ideological circumstances, he often tries to convey national motifs through the use of Party-Soviet pathos. The paper presents the following poems by Ilo Mosashvili: "I Love" (1919), "Child, the Homeland Calls You" (1941), and "Motherland" (1942), which clearly illustrate the dualism of the national issue.

The relevance of this paper is determined by the dualism of the national question, which was characteristic of Georgians even when they were under Russian imperial rule. Specifically, these divided Georgians loved Georgia, but for them, Georgia was part of something larger - such as Russia (Matsaberidze, 2023). It is a fact that the type of divided Georgian also existed in the twentieth century, especially under the conditions of Soviet Georgia. A clear confirmation of this idea is found in Ilo Mosashvili's work and his political activities. By analyzing Ilo Mosashvili's poems and biography (especially during the years 1917–1954), this research reveals the paradoxical coexistence of the

preservation of national identity and Soviet loyalty, which serves as an important historical model for studying the socio-political behavior of the Soviet Georgian intelligentsia. The paper pays special attention to the Ilo Mosashvili House-Museum - not only as a memorial space, but also as a research source. The photos, texts, and exhibits presented in the museum are particularly interesting and timely for studying the dualism of Ilo Mosashvili's national question. Therefore, this paper will be of significant assistance to all researchers interested in Ilo Mosashvili's activities (in addition to political scientists, interested parties may include historians, literary scholars, art historians, and others). It is also noteworthy that the results of the paper are important for both Georgian museums and the interpretation of heritage. In particular, it is interesting to consider how deeply and comprehensively museums present biographical information and how much they contribute to the development of Georgia's educational space. The research establishes a methodological model in which material culture (the house-museum) is used as a tool for textual analysis. As a result, the paper serves as an important source for literary, political, and historical research.

Research Novelty lies in its use of micro-history (the biography of Ilo Mosashvili), which is essential for analyzing a broader context. For example, the political, biographical, and literary activities of Ilo Mosashvili as an individual are presented in the paper to convincingly illustrate the behavioral paradox of the Soviet Georgian intelligentsia - the struggle of national identity with the cult of the leader. Moreover, such dualism of the national question is characteristic not only of Georgians in the nineteenth and twentieth centuries, but also of the contemporary political space of Georgia. It appears that the traumas of the past still manifest themselves today. The photos, texts, and exhibits preserved in the Ilo Mosashvili's House-Museum are used in the research as primary sources, not merely as a memorial background. In the study, the museum is presented as a research laboratory, where "dualism" is identified both in personal belongings and in texts. Such integration is

rarely used in Georgian humanities research. The study offers representatives of memorial spaces a kind of guideline on how to present biographical tensions, thus transforming the museum into a space of critical education, where the truth is revealed clearly and without concealment. Finally, instead of simply reading biographical information, the paper exposes the dissonance within it (national pathos + veneration of the leader) and shows that the expression of national sentiment often took place under the guise of apparent loyalty. This finding is a significant contribution to the Politics of memory, as well as to literature and history.

Research aim is to analyze, through the example of Ilo Mosashvili's house-museum, biography, and works, the paradoxical coexistence of national identity and the cult of the leader/Soviet loyalty, which is especially evident in his poetic texts, political activities, and the memorial materials of the house-museum. The study seeks to show how national pathos is expressed within the framework of Soviet ideology and why Ilo Mosashvili's house-museum is an important "place of memory" (according to Pierre Nora's theoretical framework), where history and memory intersect.

Research Methodology of the presented paper is based on qualitative research methods, case study, and discourse analysis. Ilo Mosashvili and his house-museum (Vaqiri, Signagi) are taken as the case study example in order to explain the coexistence of national pathos and loyalty to the leader in texts and biographical material. The choice of case analysis is determined by the aim of the paper itself - the dualism of the national question is clearly revealed in Mosashvili's texts and the materials preserved in the museum, and the subject of the research is precisely to highlight this confrontation. Accordingly, the research questions are: 1. How are the national question and loyalty to the leader/Soviet ideology constructed in Ilo Mosashvili's texts and biography? 2. How did the author distribute or balance these two discourses in different periods? 3. How is this dualism represented in the

exhibitions preserved in Ilo Mosashvili's house-museum? The chronological scope of the research deliberately covers the years 1917-1954 (from the early national intonations of the poetic texts to the war years and subsequent Soviet episodes). In terms of data sources, the paper uses Ilo Mosashvili's poems (1919, 1941, 1942), photographs, and exhibits from the house-museum as primary sources. With regard to secondary sources, the paper presents historiographical and biographical information. The selection of texts and exhibits in Ilo Mosashvili's house-museum was carried out according to the principle of purposive sampling: materials were chosen in which national markers (homeland, land, ancestors, sacrifice) and markers of loyalty to the leader (Stalin, party pathos, Soviet symbolism) are directly or indirectly recorded. The paper adheres to ethical standards: access to data from Ilo Mosashvili's house-museum was obtained with permission, the collection of photographs and exhibits was based on informed consent, and the anonymity of museum staff is strictly maintained.

The relevant **theoretical framework** for this paper is the concept of “places of memory” by the French historian Pierre Nora. According to Nora, places of memory can take material (monuments, museums, archives), symbolic (national holidays, emblems, myths), or functional forms (institutions), and they often unite both history and memory. Pierre Nora emphasizes that these sites are not neutral; on the contrary, they are constructed and often serve political or ideological purposes. This theoretical framework is especially relevant in contexts where history and politics intersect, as these sites not only preserve but also create and reinterpret memory (sometimes through manipulation). For example, the Ilo Mosashvili's House-Museum is precisely such a place, where memory is both preserved and transformed. Nora argues that places of memory emerge when living memory disappears and history begins to institutionalize identity through symbols, monuments, and texts (Nora, 1989). In the case of Ilo Mosashvili, his patriotic poetry and political activity initially reflected an authentic national spirit and

collective memory connected to the idea of Georgian independence; however, under Soviet rule, these cultural expressions were transformed into veneration of the cult of the leader. Accordingly, Pierre Nora's theory helps us understand how Mosashvili's legacy reflects the dual process of memory: on the one hand, the preservation of Georgian national identity, and on the other, its manipulation by the Soviet regime. In short, Pierre Nora's "places of memory" allow us to analyze how nations and regimes use cultural artifacts, spaces, and narratives to preserve collective memory - whether in authentic or distorted form.

Based on the facts established through the analysis of Ilo Mosashvili's house-museum, his political and creative activities, we can draw a direct parallel with the attempts to reconcile National-Georgian and Russian state interests in nineteenth-century Georgia, which was occupied by the Russian Empire. It is necessary to recall the words of Archil Jorjadze: *"The prominent representatives of the noble intelligentsia abandoned thoughts and dreams of Georgian independence according to circumstances. Such dualism in political thinking implied the reconciliation of incompatible principles, even though by the end of the nineteenth century it was already clear that the official and dominant state ideology would not allow for a just resolution of the national question."* In addition, the cultural influence coming from a foreign country, for example, Russification, led to a peculiar duality among some Georgians. These divided Georgians loved Georgia, but for them, Georgia was part of something larger - such as Russia (Matsaberidze, 2023). After the above-mentioned parallel, it is not an exaggeration to claim that Ilo Mosashvili also acted according to a similar principle of national dualism. It is impossible to ignore the fact that Ilo Mosashvili's poems are filled with patriotic spirit, but their expression occurs precisely in a form that corresponds to the Soviet party line. It appears that, alongside the lyrical lines of love for the homeland, the mention of the leader's name is the result of ideological necessity, which is one of the main characteristics of the Soviet system. We can conclude that the transformation in Ilo

Mosashvili's work represents a logical continuation of his political transformation. It is important to emphasize that such dualism is characteristic not only of Ilo Mosashvili, but also of a segment of the Soviet Georgian intelligentsia in general, where the preservation of national identity was often possible only through the veneration of the leader.

Keywords: Ilo Mosashvili, National identity, House-Museum, Pierre Nora, Politics of Memory.